


# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№1 (68) 2017




## თსუ კურსდამთავრებული Google-ში დასაქმდა

24 წლის გიორგი მეგრელი თსუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულია. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი გასულ წელს დაამთავრა და ძალიან მალე კომპანია Google-ში დაიწყო მუშაობა.

გიორგიმ გასაუბრებიდან საბოლოო პასუხამდე დიდი და რთული გზა გაიარა. Google-ს რეკრუტერთან რვა 45 წუთიანი გასაუბრების, ტექნიკური კითხვებისა და პროგრამული კოდების წერის შემდეგ, დაახლოებით ათ დღეში კომპანიიდან დადებითი პასუხი მიიღო.

არაერთი გამოკითხვის მიხედვით,მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში კომპანია Google ერთ-ერთი სასურველი და საოცნებო სამუშაო ადგილია. დღეს თსუ კურსდამთავრებული Google-ს ლონდონის ოფისში მუშაობს.

გიორგი მეგრელი მოგიყვებათ იმ გამოცდილების შესახებ,რომელიც მან დამოუკიდებლად, საკუთარ თავზე მუშაობით და თსუ-ში ჯერ ბაკალავრიატზე, შემდეგ კი მაგისტრატურაზე სწავლის დროს დააგროვა.

„თსუ-ში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა დავამთავრე. თსუ-მდე ვსწავლობდი ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, სადაც ძალიან კარგი მასწავლებლები მყავდნენ, მათ შემაყვარეს ტექნიკური საგნები. განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კოტე კუპატაძეს, რომელიც მათემატიკას მასწავლიდა, ლეილა ნარინდოშვილს ჩემს ფიზიკის მასწავლებელს და დამრიგებელს სალომე პატარაშვილს. სკოლის პარალელურად დავდიოდი IT ცენტრ „მზიურში“, სადაც ვსწავლობდი პროგრამირებას. მადლობელი ვარ ჩემი მასწავლებელის გურამ ქოთოლაშვილის და ზოგადად მთლიანი „მზიურის“.

შემდეგ იყო თსუ, ბაკლავრიატში სწავლის განმავლობაში გავიცანი და დავუმეგრობდი რამდენიმე პროფესორს, ვისწავლე ძალიან ბევრი ახალი რამ, სხვა რაკურსით დავინახე ის, რაც აქამდე ვიცოდი და ყველაზე მნიშვნელოვანი – აკადემიურ კულტურას გავეცანი. შემდეგ ჩავაბარე მაგისტრა-


***გაგრძელება მე-2 გვ.***


## თსუ „საერთაშორისო ურთიერთობების“ სწავლების 25 წელს აღნიშნავს

***თსუ საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის დაარსებიდან 25 წელი გავიდა. 28 იანვარს უნივერსიტეტში ამ იუბილესთან და კათედრის პირველი გამგის, პროფესორ ალექსანდრე რონდელის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.***

თსუ-ში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი 1991 წელს დაარსდა. ფაკულტეტი სამ კათედრას აერთიანებდა, მათ შორის ორი საერთაშორისო სამართლის მიმართულების, ხოლო ერთი საერთაშორისო ურთიერთობების პროფილით. იმ დროს, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება და როგორც საუნივერსიტეტო სპეციალობა, სრულიად ახალი სფერო იყო საქართველოში.

25 წლის მანძილზე თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა იქცა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და პრესტიჟულ სპეციალობად, რომელიც წლების მანძილზე ინარჩუნებს პირველობას პოპულარულობის რეიტინგის მიხედვით საქართველოში. კურსდამთავრებულებს შორის მრავლადაა ჩვენი საზოგადოების ცნობილი სახე – სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, დიპლომატები და მეცნიერები.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, ***ზურაბ დავითაშვილი*** იხსენებს განვლილ 25 წელს და კათედრის მიღწევებზე საუბრობს:

„საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ ძალიან პრესტიჟულ სპეციალობად. საბჭოთა კავშირში ორი უმაღლესი სასწავლებელი ამზადებდა სუ-ს სპეციალისტებს, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი და მეორე, კიევის უნივერსიტეტში იყო ფაკულტეტი. მაგრამ იმის გამო რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, არც იყო საჭიროება ასეთი ფაკულტეტისა, რომელიც მოამზადებდა ამ სპეციალობის ადამიანებს.

1990-91 წლებში დღის წესრიგში დადგა იმის აუცილებლობა, რომ ფაკულტეტი გახსნილიყო. მაშინ უკვე ყველასთვის ნათელი გახლდათ, რომ საქართველო დღეს თუ ხვალ გახდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავისი კადრები ამ სფეროში მასაც დასჭირდებოდა.

ამიტომ 1991 წელს უნივერსიტეტში მომზადდა და სექტემბრისთვის გაიხსნა ახალი ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, რომელიც ორ სპეციალობას აერთიანებდა: საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობებს. საერთაშორისო სამართალში არსებობდა გარკვეული გამოცდილება, რადგან უნივერსიტეტში უკვე იყო საერთაშორისო სამარ-


***გაგრძელება მე-3 გვ.***





## ახალი ინგლისურენოვანი პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ თსუ-ში

სამაგისტრო პროგრამა ერთობლივი პროექტის „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ფარგლებში შემუშავდა, რომელიც ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) ევრაზიასთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გამართული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია. თანამშრომლობის პროექტის ხანგრძლივობა 4 წელია. პროექტის კოორდინატორი ნორვეგიაში – ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტია, ხოლო საქართველოში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. ამას გარდა, პროექტში მონაწილეობენ: საქართველოს უნივერსიტეტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდი, ორგანიზაცია: „კონსულტირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციები“. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია რეგისტრებზე დაფუძნებული ეპიდემიოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული ცოდნის ტრანსფერი ნორვეგიიდან საქართველოში.

სამაგისტრო პროგრამაზე, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სწავლების ენა ინგლისურია. სტუდენტებს ლექციებს თსუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის პროფესორები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მოწვეული ექსპერტები ჩაუტარებენ.

როგორც თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი, ასოცირებული პროფესორი და ამავე დროს პროექტის „საქართველო-ნორვეგიის კოლაბორაცია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ საქართველოს კოორდინატორი ნინო ჩიხლაძე განმარტავს, სამაგისტრო პროგრამა მიზნად საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების ახალი თაობის მომზადებას ისახავს. იმ სპეციალისტების, რომლებსაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები ექნებათ, რაც


***გაგრძელება მე-3 გვ.***


## პირველი ნაბიჯები პირველი ქართული რესპუბლიკის ენციკლოპედიის შესაქმნელად



***დამფუძნებელი კრების სხდომა. 1919 წელი.***

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 1918-1921 წლების ენციკლოპედიაზე მუშაობა დაიწყო. ენციკლოპედია იქნება მოცულობითი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელშიც რვაასზე მეტი სტატია შევა.***

სტატიებზე მუშაობისას აქამდე გამოცემულ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომს, ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებს, მათ შორის პარლამენტის ოქმებს, წერილებს და იმ პერიოდის პრესას იყენებენ.

1918-1921 წლის ენციკლოპედია მოიცავს პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობის ყველა ასპექტს: პოლიტიკას, ეკონომიკას, მეცნიერებას, კულტურას და პერსონალიებს – ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში.

ენციკლოპედიის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრ-ბიბლიოთეკის“ გამგე ირაკლი ირემაძე გვესაუბრება:

„მოგეხსენებათ 2015 წლის ოქტომბრიდან თბი-


***გაგრძელება მე-3 გვ.***


## სტუდენტური პროექტები ახალი წესით დაფინანსდება



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო შეიქმნა, რომელიც სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესს შეიმუშავებს. უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინიციატივით, გამჭვირვალობისა და პარიტეტის დასაცავად შექმნილი საბჭო შე-


გვ. 2


## ინფორმაცია თსუ უწყვეტი განათლების კურსების შესახებ

შეიძინე ახალი ცოდნა და

უნარები,მიიღე თსუ სერტიფიკატი





გვ. 4


## თსუ საკალათბურთო გუნდს სამი ლეგიონერი შეემატა ამერიკის სტუდენტური საკალათბურთო ლიგიდან




გვ. 4


## ფუტსალის საქართველოს ნაკრებში თსუ-ს გუნდის კიდევ ერთი მოთამაშე მიიწვიეს




გვ. 4

# სიახლეები

### *პროექტი თსუ დესპანი 2017 იწყება*

2017 წელს პროექტი თსუ დესპანი განსხვავებული ფორმატით განხორციელდება. წინა წლებში პროექტში მონაწილე სტუდენტები თებერვლის თვეში ბრუნდებოდნენ საკუთარ სკოლებში და ატარებდნენ პრეზენტაციას. თსუ დესპანი 2017-ში მონაწილეებს მთელი წლის განმავლობაში ექნებათ შესაძლებლობა მშობლიურ სკოლაში თსუ პროფესორებთან და საბავშვო უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმონ სხვადასხვა ღონისძიება:

- ჩაატარონ უნივერსიტეტის ღია კარის დღე;
- საინფორმაციო შეხვედრა;
- ორგანიზება გაუწიონ უნივერსიტეტის და სკოლის ერთობლივი კონფერენციების, ვიქტორინების, ესეების კონკურსების და ა.შ განხორციელებას.

პროექტში მონაწილეობის მსურველებმა 10 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია.

თსუ დესპანი საბავშვო უნივერსიტეტის პროექტია, რომლის მიზანია ნებისმიერი საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტმა მშობლიურ სკოლაში ჩაატაროს უნივერსიტეტის შესახებ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

პროექტი 5 წელია ხორციელდება და წელს რექტორატის და ადმინისტრაციის განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვს. პროექტის წარმატებით განხორცილების ხანგრძლივმა გამოცდილებამ გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თსუ დესპანს მოსწავლეებისთვის პროფესიის რაციონალურად არჩევასა და უმაღლესი განათლების მნიშვნელობის გააზრებაში.

### *ივანე ჯავახიშვილის ალბომის პრეზენტაცია*




10 იანვარს თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის ალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

ალბომში შესულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივანე ჯავახიშვილის პირადი საარქივო ფონდის მასალა, რომელიც მოიცავს სამართლისა და ეკონომიკის ტერმინებს. ტერმინები შედგენილია ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიულ საბუთებზე, წყაროებზე და ხელნაწერებზე დაყრდნობით.

გამოცემა მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილეს.

ალბომში შესულია 1845-მდე ტერმინი, რომელიც დალაგებულია ანბანის მიხედვით და მითითებული აქვს საარქივო ერთეულის ნომერი. თითოეული ტერმინი დაწერილია ცალკეულ ბარათზე, წყაროს მითითებით. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მანუჩარ გუნცაძის განცხადებით, ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში, მსგავსი ტერმინების რაოდენობა გაცილებით მეტია, მაგრამ ალბომში შესულია მხოლოდ ის ბარათები, რომელიც უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის ხელითაა დაწერილი. ალბომი მკვლევრებს, ასევე ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობით დაინტერესებულ საზოგადოებას გაუადვილებს ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულ მასალაზე წვდომას და ხელს შეუწყობს სამართლისა და ეკონომიკის ტერმინებზე მუშაობას. პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ.

### *თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალი*



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, თსუ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისათვის, საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ ათენისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პროფესორს, დოქტორ ამალია მოსერს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორს იურგენ ბოსს, ლონდონის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, დოქტორპიტერ ლიდიარდს და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს ვოლფგანგ ვენგს. საზეიმო ღონისძიება თსუ-ში გაიმართა, რომელსაც თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, თსუ აკადემიური საბჭოს წევრები, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შემდეგ პროფესორებმა წაიკითხეს საჯარო ლექციები. ათენისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პროფესორმა, დოქტორმა, „ერაზმუს მუნდუსის“ პროექტის „ჰერმესისი“ კოორდინატორმა, ათენის ჰუმანიტართა ქსელის დამფუძნებელმა ამალია მოსერმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე “დრო ენაში”; ლონდონის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორის, ამავე უნივერსიტეტის „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სამედიცინო კურისის“ ლექტორისა და ასპირანტების კურატორის, დოქტორ პიტერ ლიდიარდის საჯარო ლექცია მიეძღვნა თემას: „A,B ჩემს ანბანში ანუ დაუსრულებელი ამბავი“; „ეკონომიკური განათლების მომავალზე ორიენტირებული ასპექტები“ წაიკითხა ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, ორგანიზაციული განვითარებისა და უნარების სწავლების ახალი მეთოდის მფლობელმა ვოლფგანგ ვენგმა.

### *დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის დელეგაციის ვიზიტი თსუ-ში*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის დელეგაცია ეწვია. თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და თსუ რექტორის მოადგილემ მიხეილ ჩხენკელმა დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCD) პრეზიდენტთან პროფესორ ენდრიუ დიკსთან, კოლეჯის რეგიონულ მენეჯერთან

***გაგრძელება მე-4 გვ.***

# ახალი ინგლისურენოვანი პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ თსუ-ში

***პირველი გვერდიდან***

საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდაა აუცილებელი.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია (120 ECTS). პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო (90 ECTS), ისე კვლევით კომპონენტს – სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS). სწავლების ფასი საქართველოს მოქალაქეებისათვის 2250 ლარი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის 4500 დოლარი იქნება. პროგრამის სასწავლო კომპონენტი საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელოების გამოყენებით განხორციელდება, რომელიც უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, მათ შორის ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში-გამოიყენება.

პროგრამის განმავლობაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც თსუ-ს რესურსები (სალექციო და კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა, ელექტრონული სწავლების და სწავლის პლატფორმა, ელექტრონულ რესურსებზე წვდომა, როგორიცაა HINARI, Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR) და ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რესურსები (სამეცნიერო ანგარიშები, მონაცემთა ბაზებზე წვდომა, მონაცემები ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრებიდან).

სწავლის პერიოდში გათვალისწინებულია სტუდენტთა ხანმოკლე და ხანგრძლივი მობილობა ნორვეგიაში, ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს მიენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის (MPH) აკადემიური ხარისხი.

როგორც ნინო ჩიხლაძე აცხადებს, სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტის წარმომადგენელ პროფესორებთან ტორალფ ჰასვოლდთან და ერიკ ეიკ ანდასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა. სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა დადებითადშეფასდა ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე 2016 წლის დეკემბერში. ამ დროისთვის კი დაწყებულია პროცედურები ახალი სამაგისტრო პროგრამის პროგრამული აკრედიტაციის მოსაპოვებლად საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ცნობისათვის, ახალ სამაგისტრო პროგრამაზე საუკეთესო შეფასებების მქონე 12 სტუდენტი ჩაირიცხება. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საბაზო განათლების დიპლომი მედიცინაში ან სტომატოლოგიაში, ბაკალავრის დიპლომი ჯანდაცვის მეცნიერებებში, ბაკალავრის დიპლომი მომიჯნავე სფეროში (სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები). ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩაუტარდებათ საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე).

გარდა ამისა, თანამშრომლობის პროგრამის მოქმედების პერიოდში გათვალისწინებულია: ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის პროფესურის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ტრენინგი აღწერილობითი ეპიდემიოლოგიის სფეროში. ამ ტრენინგზეგანსაკუთრებული ყურადღება ახლად დანერგილი დაავადებათა ეროვნული რეგისტრების მონაცემების გამოყენების უნარების გამომუშავებას მიექცევა.

გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდება ხანმოკლე და ხანგრძლივი გაცვლითი პროგრამები როგორც სტუდენტებისათვის, ისე აკადემიური პერსონალისათვის. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო საქართველოდან ორი სტუდენტის მიღება სადოქტორო პროგრამაზე და ერთ-ერთ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეირჩა. სტუდენტთა მიღება ინგლისურენოვან პროგრამაზე პროექტის დასრულების შემდგომ ჩვეულებრივად გაგრძელდება.

# თსუ კურსდამთავრებული Google-ში დასაქმდა

***პირველი გვერდიდან***

ტურაზე და ბატონი კობა გელაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით დავამუშავეთ ერთი საკმაოდ საინტერესო თემა. უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი რამ მომცა, ძირითადად მასწავლა ჩემი სფეროს აკადემიური ნაწილი, რომელზე ლაპარაკიც ძალიან ჩამთრევია და შორს წაგვიყვანს. მაგრამ უნდა ვთქვა რომ დამოუკიდებელი მეცადინეობის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა, პრაქტიკაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. დამოუკიდებლად გავარჩიე ის ტექნოლოგები, რომელზეც ვმუშაობდი ან მაინტერესებდა. უნივერსიტეტმა კი მასწავლა თუ, როგორ მესწავლა და გამერჩია სიახლეები.

ტექნოლოგიების განვითარების დროზე დამოკიდებულების გრაფიკს რომ შეხედოთ, ნახავთ, რომ რაც მეტი დრო გადის, ტექნოლოგიები მით უფრო სწრაფად ვითარდება. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ამ საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ავყვეთ ამ ტემპს, თუ გვინდა რომ კონკურენტუნარიანები ვიყოთ.

ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა ნახულობ, რომ შენს შექმნილ პროდუქტს ხალხი იყენებს და ბედნიერია; რა თქმა უნდა Google-ში მუშაობის დროს უფრო დიდ მასშტაბებზეა საუბარი. მაგრამ პირველად როცა ეს გავაცნობიერე, „თეგეტა მოტორსში“ ვმუშაობდი. ჩემს ერთ-ერთ პროგრამას ხალხი წარმატებით იყენებდა, ვიცოდი რომ ძალიან დიდი საქმის კეთება შეუმსუბუქდათ, გამიხარდა და ალბათ ეს არის, რასაც ნებისმიერი კეთილსინდისიერი IT ინდ. მეწარმე თუ კომპანია უნდა ემსახურებოდეს – შეუმსუბუქოს ადამიანებს ცხოვრება.

ძალიან ბევრი სამაგალითო მეგობარი მყავს, ისინი ჩემზე ბევრად ჭკვიანები და წარმატებულები არიან და დიდ მაგალითს ვიღებ მათგან. Google-ში მუშაობამდე დიდი და რთული გზა გავიარე. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩემმა მეგობარმა გიორგი ფეიქრიშვილმა, რომელიც ჩემთან ერთად გადიოდა გასაუბრებას, გამიწია რეკომენდაცია, შემდეგ დამიკავშირდა რეკრუტერი და დაიწყო გასაუბრების პროცესი, რომელიც საკმაოდ სტრესული იყო. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ ესტონეთში ვმუშაობდი და პარალელურად სამაგისტრო ნაშრომს ვწერდი. ვცდილობდი, რომ დღეში 2-3 საათი გასაუბრებისთვის მემეცადინა. გვერდით მედგა ჩემი მეგობარი ნიკოლოზ გაბისონია, რომელიც Google-ში მუშაობდა და უკვე ჰქონდა გავლილი ეს პროცესი.

თვითონ გასაუბრებების პროცესი იმდენად რთული არ იყო ჩემთვის, რამდენადაც სტრესული, რადგან ასეთ დიდ კომპანიასთან პირველად მქონდა გასაუბრება და არ ვიყავი გამოცდილი. მქონდა 8 ტექნიკური გასაუბრება, თითო დაახლოებით 45 წუთიანი. ისინი მოიცავდა ტექნიკურ კითხვებს და დაფაზე ან google docs-ში პროგრამული კოდის წერას. ბოლო გასაუბრების შემდეგ, დაახლოებით 10 დღეში უკვე გავიგე, რომ ამიყვანეს. ძალიან გამიხარდა და თავდაჯერებულობაც მომემატა. სტუდენტებს და აბიტურიენტებს ვურჩევდი, რომ საკუთარ თავზე იმუშაონ. უნივერსიტეტში უდაოდ ბევრ რამეს ისწავლიან, მაგრამ საკუთარ თავზე მუშაობის გარეშე ძალიან რთულია.

ამჟამად ლონდონში ვარ, ჩემს უმშვენიერეს მეუღლესთან, ანა ხულელიძესთან ერთად, რომელიც გვერდით მედგა მთელი ეს პერიოდი და რომლის თანადგომისა და ხელშეწყობის გარეშეც ძალიან გამიჭირდებოდა აქ მოხვედრა. ვმუშაობ ერთ-ერთ პროექტზე. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, მინიმუმ კიდევ ერთი წელი ამ ქვეყანაში ვაპირებ გაჩერებას, შემდეგ კი ვნახოთ, შეიძლება რომელიმე სხვა ქვეყნის ოფისში გადავიდე სამუშაოდ. კომპანია Google-ს შეცვლას არ ვაპირებ, აქ ყველაფერი მომწონს, ატმოსფერო, კულტურა, თანამშრომლები...“ – ასე იხსენებს წარმატების გზას გიორგი.

გიორგის გამოცდილება ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიოში პროფესიონალთათვის საზღვრები არ არსებობს და 24 წლის ახალგაზრდისთვის, სწორი აკადემიური განათლებისა და თავდაუზოგავი შრომის საფუძველზე, თავად ისეთი კომპანიის კარიც კი ღიაა, როგორიც კომპანია Google-ია. თსუ კურსდამთავრებული ახალგაზრდები დღეს უკვე არაერთ სფეროში აღწევენ წარმატებას. ჩვენ ამ წარმატებების შესახებ შევეცდებით უფრო მეტი გიამბოთ.

# პირველი ნაბიჯები პირველი ქართული რესპუბლიკის ენციკლოპედიის შესაქმნელად

***პირველი გვერდიდან***

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“, რომლის მთავარი საფუძველიც თავდაპირველად უნივერსიტეტისათვის, ბატონ ტიერი ბერიშვილის მიერ თავისი მამის, მამია ბერიშვილის არქივის გადმოცემა გახდა. ცენტრმა თავისი ფუნქციონირების პირველსავე თვეებში დაიწყო ფიქრი და მუშაობა 2018 წლისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომისათვის. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ბატონი ზურაბ გაიპარაშვილის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ცენტრის თანამშრომლების მიერ პროფესორ დიმიტრი შველიძესთან კონსულტაციით, მომზადდა 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედიის შექმნის გეგმა, რომელიც შემდგომში პროექტად გარდაიქმნა“, – ამბობს ირაკლი ირემაძე.

პოსტსაბჭოთა ეპოქაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი სხვადასხვა სფეროს შესახებ არაერთი ნაშრომი შეიქმნა, თუმცა დღემდე არ შექმნილა სრულყოფილი ყოვლისმომცველი პუბლიკაცია, რომელიც მკითხველს მისცემს საშუალებას გაეცნოს საქართველოს ისტორიის მართალია მოკლე, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს და მის ყველა სფეროს. თსუ ბიბლიოთეკის ენციკლოპედიის მთავარი იდეა სწორედ მის ყოვლისმომცველობას უკავშირდება. ენციკლოპედიაში თავმოყრილი იქნება დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი პიროვნებისა და მოვლენის შესახებ სტატიები.

ირაკლის თქმით, ენციკლოპედიის პროექტის მნიშვნელობა ძალზე დიდია, გამომდინარე თავისი მიზნებიდან და ენციკლოპედიის თავდაპირველი დანიშნულებიდან. „როგორც აღვნიშნე, ეს იქნება პუბლიკაცია, რომელშიც გაერთიანებული იქნება დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოღვაწე პიროვნებების, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის წევრების, დიპლომატებისა და სამხედრო მოღვაწეების, ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და სასულიერო პირების, დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების, რეფორმებისა და მოვლენების შესახებ ასეულობით სტატია. ფაქტობრივად, დაინტერესებულ პირს ენციკლოპედიაში შეეძლება მოიძიოს ინფორმაცია და გაეცნოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ უამრავ საკითხს“, – ამბობს იგი.

პროექტის ფინანსური და ადმინისტრაციული, ისევე როგორც კვლევითი კომპონენტი, უნივერსიტეტის რესურსით ხორციელდება, წყაროების მოძიება ხდება ეროვნულ არქივსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც. პროექტის განხორციელების პროცესში ამ ეტაპზე ჩართულია 15-მდე მეცნიერი და მკვლევარი, თუმცა სამუშაო თემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იგეგმება მკვლევართა რაოდენობის გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპისათვის პროექტში ჩართული არიან უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის პროფესორები, დოქტორანტურის და მაგისტრატურის სტუდენტები, უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები.

„ამჟამად დასრულდა პროექტის, პირველი ეტაპი. შეიქმნა 220-მდე საენციკლოპედიო სტატია. იანვრის თვიდან ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება მუშაობა მკვლევართა უფრო დიდი ჯგუფის მიერ. პირველ ეტაპზე შეიქმნა სტატიების პოლიტიკოსთა, სამხედრო და სასულიერო პირთა ნაწილის შესახებ. შემდეგი წლისათვის კი, იგეგმება სტატიების მომზადება ყველა დარჩენილი სფეროს შესახებ. პროექტის ძირითადი სამუშაოები, სტატიების შეგროვება დასრულდება 2017 წლის სექტემბრისათვის, რის შემდეგაც დაიწყება პუბლიკაციის გამოსაცემად მომზადება (თუმცა სარედაქციო სამუშაოები შექმნილ სტატიებზე უკვე მიმდინარეობს). 2018 წლის მაისისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეზე კი, ენციკლოპედია უნივერსიტეტის და მისი ბიბლიოთეკის მიერ ქართველი მკითხველისათვის მომზადებული საჩუქარი იქნება“, – ამბობს ირაკლი ირემაძე.

# თსუ „საერთაშორისო ურთიერთობების“ სწავლების 25 წელს აღნიშნავს

პირველი გვერდიდან



თლისა და სახელმწიფო სამართლის კათედრა, რომელსაც 60-იანი წლებიდან ლევან ალექსიძე ედგა სათავეში.

შესაბამისად, იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობები სრულიად ახალი სფერო იყო. სხვადასხვა სპეციალისტისგან შედგა კათედრა და მისი პირველი გამგე ალექსანდრე რონდელი გახდა. სპეციალობით ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, შემდეგ გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, უაღრესად განათლებული და ფართო ერუდიციის მქონე ადამიანი იყო. მისი ძალისხმევით დავიწყეთ პირველმა შემადგენლობამ მუშაობა, ჩვენი მიზანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გახლდათ. ეს იყო ძალიან რთული, არ გვქონდა გამოცდილება და არც სახელმძღვანელოები და მასალები. მართალია საბჭოთა კავშირში ორ უმაღლეს სასწავლებელში მზადდებოდნენ სტუდენტები საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. ეს სპეციალობა გაიგივებული იყო საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიასთან, არადა მეცნიერება ნამდვილად არსებობდა, ის ამერიკაში ჩამოყალიბდა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ თავისი თეორიით, მეთოდოლოგიითა და სტრუქტურით.

დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა პროგრამის შესადგენად, ამაში დაგვეხმარა სტაჟირებები, რომლებიც გავიარეთ საზღვარგარეთ, დიდი გამოცდილება მივიღეთ იქ. რთული იყო ისიც,რომ თვით აშშ-ს უნივერსიტეტების უმრავლესობაში საერთაშორისო ურთიერთობების მხოლოდ სამაგისტრო სწავლება არსებობდა, საბაკალავრო სპეციალობა კი უნივერსიტეტების 4-5% თუ ჰქონდა. შესაბამისად, ყველაფერი თავიდან დავიწყეთ და საკმაოდ რთული და საინტერესო გზა გავიარეთ; 2005-2006 წლებში ბოლონიის პროცესს შევუერთდით და მიზნად დავისახეთ ჩვენი კურლიკულუმი თანხვედრაში ყოფილიყო ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.

25 წელი გავიდა რაც ეს სპეციალობა არსებობს, 20 გამოშვება გვყავდა და შემიძლია ვთქვა, რომ მთავარი მიზანი მიღწეულია. თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება უკვე რამდენიმე წელია კონკურენციის გარეშე დგას პირველ ადგილზე, როგორც ყველაზე რეიტინგული და მოთხოვნადი სპეციალობა, ჩვენ პრაქტიკულად არ გვყავს სტუდენტი, რომელსაც არ აქვს 100%-იანი გრანტი, ამით შეგვიძლია ვიამაყოთ და იმ წარმატებებითაც, რომელიც დეპარტამენტმა მიიღო. ეს პირველ რიგში, იმ თვალსაზრისით რომ ჩვენი სტუდენტები, რომლებიც სწავლას აგრძელებენ ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში, თამამად შეიძლება ითქვას თავიანთი ცოდნის დონით არათუ ჩამოუვარდებიან, არამედ უმრავლეს შემთხვევაში, ბევრად მაღლა დგანან თავიანთ უცხოელ თანატოლებზე.

პირველი გამოშვება 1996 წელს გვყავდა, ჩვენი ყველაზე ხანდაზმული კურსდამთავრებული 42-43 წლისაა. სამწუხაროა რომ ამ სპეციალობის ფუძემდებელი და კათედრის პირველი გამგე დღეს ცოცხალი აღარ არის. ის რომ ალექსანდრე რონდელმა ჩამოაყალიბა ეს სპეციალობა ყოველთვის გვავალდებულებს, რომ მაქსიმუმი გავაკეთოთ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სახელის ფართოდ გავრცელებისათვის“.

ფაკულტეტზე გატარებულ წლებს იხსენებს ჩვენთან საუბრისას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ***ქეთევან ციხელაშვილი***:

„სტუდენტობა ადამიანის ცხოვრებაში არის უნიკალური პერიოდი. ხარ ახალგაზრდა, გაქვს ოცნებები და სურვილები და ფიქრობ, როგორ განახორციელო ისინი. როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ჩავაბარე, საქართველოს დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდა. ძალიან მიმზიდველი იყო პერსპექტივა, გამხდარიყავი დიპლომატი, წარმოგეჩინა შენი ქვეყანა, გენახა მსოფლიო. ყველაფერი ეს კომბინაციაში თავსდებოდა ამ ფაკულტეტზე. ალბათ, ამიტომ გახდა ეს ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი, ძალიან „ელიტურიც“, რაც იმას ნიშნავდა, რომ, იცით, მაშინდელ სისტემაში, ადვილი არ იყო „მოხვედრა“ აბიტურიენტებისთვის მხოლოდ საკუთარი უნარებით და ცოდნით, სამწუხაროდ, თუმცა არა შეუძლებელი, რაც საკუთარი გამოცდილებით ვიცი. საბედნიეროდ, ეს ფუნდამენტურად შეიცვალა და დღეს ცოდნა, უნარი და მონდომება წარმატების ობიექტური წინაპირობაა.

1990-იან წლებში, იმ რთულ პერიოდში ჩვენ მეტი ძალისხმევა და მიზანმიმართულება გვჭირდებოდა განათლების მისაღებად – ხშირად ჭრაქის შუქზე ვმეცადინეობდით, დავდიოდით ბიბლიოთეკებში, ვაკოპირებდით წიგნებს და ვუზიარებდით ერთმანეთს კონსპექტებს, რაც დღეს ელექტრონულად მარტივად ხელმისაწვდომია. ამ ყველაფრის მიუხედავად, ვისაც უნდოდა, რომ ესწავლა, მაშინაც ახერხებდა კარგი განათლების მიღებას.

ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებული ბევრი წარმატებული ადამიანია. კარგი ჯგუფი მყავდა და ძალიან კარგი ლექტორები. მინდა, მათ მადლობა გადავუხადო. განსაკუთრებულად მინდა გავიხსენო ალექსანდრე რონდელი. მან დიდწილად განავითარა ჩვენი დამოკიდებულება და სიყვარული ამ სფეროს მიმართ და ბევრი ჩვენგანისთვის იყო მეგობარი და მენტორი. სტუდენტების ნაწილს, ვისზეც ფიქრობდა, რომ გარკვეული უნარები ჰქონდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ ცენტრში უყრიდა თავს. ჩვენთვის ეს უნიკალური გამოცდილება იყო, ძალიან გვიმაღლებდა მოტივაციას. ჩემთვის იგი იყო მაგალითი პრინციპულობის, სამართლიანობისა და პატიოსანების.





აბიტურიენტებს და სტუდენტებს ვურჩევ, რომ მისდიონ თავიანთ სურვილებს და ოცნებებს. აუცილებლად ისარგებლონ ძალიან ბევრი ახალი და კარგი შესაძლებლობით გაცვლითი პროგრამებით, რომლებიც საზღვარგარეთ განათლების მიღების საშუალებას იძლევა - ეს კიდევ უფრო აფართოებს და ავითარებს მსოფლმხედველობას.

განათლება არის უნიკალური სიმდიდრე, რაც ადამიანმა შეიძლება მიიღოს და გამოიყენოს ცხოვრებაში, სიმდიდრე, რომელსაც ვერავინ წაგართმევს, მხოლოდ შეგიძლია მეტი და მეტი დააგროვო, ეს არის ყველაზე სწორი ინვესტიცია“, – ამბობს მინისტრი.

***თეონა ყუფუნია***, NDI-საქართველოს პროგრამის მენეჯერი ასევე საერთშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულია. მისი კვლევის სფეროა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ქალთა უფლებები, საზოგადოებრივი აზრის კვლევები, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრია და დღეს ასე იხსენებს თავისდროინდელ არჩევანს:

„საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლა გადავწყვიტე იმიტომ რომ დაინტერესებული ვიყავი დიპლომატიით, პოლიტიკით, სოციოლოგიით, ხოლო ეს მიმართულება ყველა ამ საგანს მოიცავდა. სწავლა "ლამპის" შუქზე გვიწევდა, რა თქმა უნდა, ინტერნეტზე წვდომა არ გვქონდა, ძალიან გვიჭირდა თემების საწერად საჭირო მასალის მოძიება, თუმცა მოტივაცია და ენთუზიაზმი არ გვაკლდა. გვასწავლიდნენ პროფესიონალი ლექტორები. მაგალითად, ალექსანდრე რონდელმა, რომელიც ჩემი პირადი მენტორი იყო, დიდი წვლილი შეიტანა ჩემს აკადემიურ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში.



მე თსუ-ში საერთაშორისო ურთიერთობები 2002 წელს დავამთავრე, შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, უნივერსიტეტში ძალიან ბევრი პოზიტიური ცვლილება განხორციელდებოდა. ამ მიმართულებაზე გაგრძელების მსურველებს, საერთაშორისო ურთიერთობების ხარისხი დაგეხმარებათ კომპლექსურ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გააზრებაში, ისწავლით წერას, გაგიუმჯობესდებათ სიღრმისეული ანალიზის უნარი და სხვა. ასევე, თანაბრად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულებისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო კარიერული განვითარების შესაძლებლობები არსებობს.

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი ***ეკა აკობია***, რომელიც აკადემიური საქმიანობის პარალელურად, 2005-2016 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2012-2016 წლებში კი გახლდათ აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის დეპარტამენტის დირექტორი, საუბრობს კონკრეტულ უპირატესობებზე და იმ მიღწევებზე, რომლებიც წლების განმავლობაში დააგროვა მიმართულებამ.

„სტუდენტი 1998 წელს გავხდი. სკოლაში სწავლის პერიოდში ყოველთვის მაინტერესებდა ისეთი საგნები როგორიცაა ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენები. პროფესიებს შორის კი მიტაცებდა დიპლომატიის როლი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და პოლიტიკის სფეროში არსებული სხვადასხვა პროფესიები. ამასთან, მახსოვს, ჩემი აბიტურიენტობის პერიოდში, გამოიცემოდა წიგნი/ბუკლეტი, სადაც სხვადასხვა სპეციალობების ჩამონათვალი იყო. მახსოვს, მომხიბლა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის აღწერილობამ და იმ საგნების ჩამონათვალმა, რომელსაც ჩაბარების შემთხვევაში, ფაკულტეტი შემოგვთავაზებდა. მართალი გითხრათ, ამ აღწერილობის წაკითხვის მომენტიდან მხოლოდ ერთი სურვილით ვიყავი შეპყრობილი – გავმხდარიყავი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტი. სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ შემოთავაზებული კურიკულუმის უკან იდგა ორი, ყველა სუ-ელისთვის პატივსაცემი ადამიანის, ბატონი ალექსანდრე რონდელისა და ბატონი ზურაბ დავითაშვილის ხედვა და ტიტანური შრომა. მათ ეს ფაკულტეტი, ბატონ ლევან ალექსიძესთან ერთად 1991 წელს შექმნეს, ორი დამოუკიდებელი სპეციალობით და მას მერე დაუღალავად ემსახურებიან მიმართულებების განვითარებას და დახვეწას.



ამ მიმართულებაზე სწავლა განმსაზღვრელი იყო ჩემი შემდგომი პროფესიული კარიერისთვის. გარდამტეხი გავლენა ჰქონდა ისეთი ლექტორების მოსმენას, როგორებიც იყვნენ ბატონი ალექსანდრე, ბატონი ზურაბი და სხვები, მათ შორის ფაკულტეტის ახალგაზრდა ლექტორები. ჩვენი მიმართულება ყოველთვის გამოირჩეოდა სასწავლო პროცესისადმი მომთხოვნი დამოკიდებულებით, ხოლო კურიკულუმი მთლიანობაში იძლეოდა ფართო ზოგად განათლებას და ღრმა ერუდიციას მსოფლიო ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკის შესახებ, ისევე როგორც ცოდნას ფუნდამენტური დისციპლინების – ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის თუ სამართლის შესახებ. ვფიქრობ, სუ მიმართულება იმ დროს, 90-იან წლებში, პერიოდში, როდესაც საქართველოს განათლების სისტემას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაძლეული საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ეპოქის მანკიერი თვისებები, ჩვენი მიმართულება, ბატონი ალექსანდრესა და ბატონი ზურაბის, ისევე როგორც სხვა ახალგაზრდა ლექტორების მიზანმიმართული მუშაობის შედეგად, წარმოადგენდა ფუნდამენტური, მეცნიერული ცოდნის გაცემისა და გავრცელების ოაზისს. შესაბამისად, ამ სპეციალობის კურსდამთავრებულები მუდმივად იყვნენ მაღალკონკურენტულები დასაქმების ბაზარზე და არაერთ მაღალ საჯარო პოსტზე უმსახურიათ. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ 1991 წელს ამ ფაკულტეტის შექმნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა გაეზარდათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობები, რომლებიც სახელმწიფოს მართვის, სამართლის თუ საერთაშორისო დიპლომატიის დისციპლინებს იცნობდნენ მეცნიერულ დონეზე. მე ვფიქრობ, რომ ამ სპეციალობის აკადემიურმა პერსონალმა და კურსდამთავრებულებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში და დღესაც ვაგრძელებთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში ჩვენი წვლილის შეტანას.

სწავლებისადმი მიდგომებში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. 2005 წლიდან საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, გადავედით კრედიტების სისტემაზე, რამაც გამოიწვია ჩვენი მიმართულების კურიკულუმის და სწავლების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ცვლილება. 2005 წლიდან მოყოლებული, აშშ-ში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დასრულების შემდგომ, თავად შევუერთდი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებას, ჯერ როგორც მოწვეული ლექტორის, ხოლო შემდგომ ასისტენტ-პროფესორის რანგში. შესაბამისად, ჩემს კოლეგა ლექტორებთან ერთად ვმონაწილეობ ჩვენი მიმართულების კურიკულუმის დახვეწის და თანამედროვე სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოების პროცესში. ამასთან, ჩვენს მიმართულებაზე ვცდილობთ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ კვლევის კომპონენტის გაძლიერებას.

ბოლო რამდენიმე წელია თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, საქართველოში არსებულ 700-ზე მეტ საბაკალავრო პროგრამას შორის ყველაზე რეიტინგულია და პირველი არჩევანით ლიდერობს.

გამოწვევებთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ კონკრეტულად მიმართულების წინაშე მდგარი გამოწვევები ორგანულად არის დაკავშირებული ქვეყანაში უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებთან და თსუ-ში შემდგომი რეფორმების გატარების აუცილებლობასთან. ვფიქრობ, უმთავრესია შეიქმნას კვლევისათვის ხელსაყრელი გარემო და ისეთი აკადემიური სივრცე, სადაც ორიგინალური კვლევა მოთხოვნადია და ტარდება კონკურენტულ, ჯანსაღ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიმართულებაზე სემესტრულად გვყავს 40-50 წარჩინებული სახელმწიფო სტიპენდიანტი, ყოველწლიურად გვყავს სხვადასხვა პოპულარული უცხოური გაცვლითი პროგრამების გამარჯვებულები, სემესტრში ჩვენი 30-მდე სტუდენტი სარგებლობს ერასმუს+ მობილობით, ხოლო ჩვენი სამაგისტრო პროგრამები მუდმივად მასპინძლობენ უცხოელ სტუდენტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე გვყავს საერთაშორისო აკადემიური პერსონალი. მოწვეულ ლექტორებს შორის სხვადასხვა დროს გვყოლია პროფესორები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, არგენტინიდან, სამხრეთ აფრიკიდან თუ აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

შესაბამისად, ვფიქრობ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით დაინტერესებული აბიტურიენტებისთვის თსუ-ს სუ-ს მიმართულებას გააჩნია საუკეთესო და მაღალკონკურენტუნარიანი სასწავლო პროგრამები უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო), შესაბამისად წარმოადგენს საუკეთესო არჩევანს ამ სპეციალობით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის.

# სიახლეები

ეისლინგ ტიერნანთან, არქიტექტურის სკოლის დირექტორთან, პროფესორ დევიდ ფიცპატრიკთან და საქართველოს განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან ნინო ჭელიძესთან გამართეს შეხვედრა. შეხვედრაზე მხარეებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრეს. 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში თსუ-ს ორი სტუდენტი გაემგზავრა. დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯთან მოლაპარაკებების შედეგად, ირლანდიური მხარე კვლავ აპირებს განაცხადის გაკეთებას ეროვნული ერაზმუს+ პროგრამის სააგენტოში 2017-2019 წლების დაფინანსების მოსაპოვებლად. შეხვედრის შემდეგ დელეგაციის წარმომადგენლები გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლის „თსუ გორდელას“ რეპეტიციას დაესწრნენ.

***თსუ უწყვეტი განათლება გთავაზობთ შემდეგ კურსებს:***

***მენეჯმენტის გამოწვევები და ლიდერი ორგანიზაციაში (ინტენსიური ტრენინგ-კურსი):***

წარმატებული ლიდერი ნებისმიერი ორგანიზაციისა თუ გუნდის წარმატების საწინდარია.თსუ უწყვეტი განათლების კურსი დაგეხმარებათ აღმოაჩინოთ და განავითაროთ საკუთარ თავში ლიდერისათვის აუცილებელი უნარები.

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება:

- საკუთარი ძლიერი მხარეების აღმოჩენა–განვითარება;
- საკუთარი თავისა და დროის მართვა;
- პროექტების შემუშავება და მართვა;
- ახალი იდეების გენერირება;
- ადამიანის მოტივირება და საერთო მიზნისაკენ წარმართვა;
- პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, მოტივირება და მართვა;
- დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა;
- პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა;
- ბალანსის დაცვა მუშაობასა და დასვენებას შორის;
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება და ბოლომდე მიყვანა;

პედაგოგები: ზაზა ქოიავა, ოთარ ბაღათურია;
სწავლების ენა: ქართული
კურსის ხანგრძლივობა: 6 დღე (დღეში 3 საათი). კურსის ღირებულება: 200 ლარი
თსუ-ის თანამშრომლებისათვის – 170 ლარი; თსუ-ის სტუდენტებისათვის – 150 ლარი

***ტრენერების ტრენინგი (ინტენსიური კურსი)***

საგნის ცოდნა არ არის საკმარისი, რომ ის სხვასაც ასწავლო. ტრენერობას სპეციალური კომპეტენციები სჭირდება, აღნიშნული კურსი კი სწორედ ამ კომპეტენციების შეძენასა და გაღრმავებაში დაგეხმარებათ.

კურსის ძირითადი თემებია:

- ტრენინგის ციკლი;
- ასაკობრივი თავისებურებები;
- ზრდასრულთა სწავლების თეორიები და სტილები;
- ტრენინგის განხორციელების მეთოდები და ტექნიკები;
- ეფექტური კომუნიკაცია და ჯგუფის მართვა;
- ეფექტური პრეზენტაციისა და მოდერაციის უნარები;
- შეფასება-თვითშეფასება;

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ:

- საჭიროებების ანალიზი ტრენინგისათვის;
- ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების დასახვა;
- ტრენინგისა და მისი ცალკეული სესიების დიზაინისა და პროგრამის განვითარება;
- ტრენინგის მეთოდებისა და ტექნიკების ზუსტად შერჩევა თემისა და სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ტრენინგთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აცილება;
- ტრენინგის წარმართვა ზრდასრულთა სწავლების სტილების გათვალისწინებით;
- სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (დისკუსია, გამდიდრებული ლექცია, გონებრივი იერიში, პროექტული სწავლება, ცასე სტუდყ, თამაშები როლში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ.);
- საინფორმაციო ტექნოლოგიების და მედია საშუალებების გამოყენება ტრენინგის მიზნების მისაღწევად;
- მიკრო-სწავლების ციკლის დაგეგმვა და განხორციელება;
- ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია;
- ეფექტური პრეზენტაციის მომზადება;
- ტრენინგის შეფასება, თვითშეფასება;
- ტრენინგის შემდგომი მართვა;

კურსი განკუთვნილია:

- მოქმედი ან მომავალი ტრენერებისათვის;
- ტრენინგ მენეჯერებისათვის;
- პერსონალის მართვის სპეციალისტებისათვის;

პედაგოგები: თამარ ჩახნაშვილი, ქეთი ცინცაძე;
კურსის მოცულობა: 25 საათი
კურსის ღირებულება: 150 ლარი (კორპორატიული დაკვეთის შემთხვევაში ფასი განისაზღვრება ხელშეკრულებით, თუმცა არანაკლებ 120 ლარისა ერთი მსმენელისათვის)
სწავლების ენა: ქართული; გაიცემა თსუ-ის სერტიფიკატი.

***ტრენერების ტრენინგი (დამწყებთათვის)***

თუ გსურთ ტრენინგ-კურსების ჩატარება და ფლობთ რაიმე კომპეტენციას სპეციალობაში, თსუ უწყვეტი განათლების კურსი დაგეხმარებათ ტრენერობისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მიღებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელს შეეძლება:

შეისწავლოს სამიზნე აუდიტორია და მისი საჭიროებები. მოამზადოს პროგრამა და გაწეროს დროში, დაგეგმოს სესიები, მოახდინოს თვითშეფასება, მართოს გუნდი და მართოს დრო.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ეცოდინებათ:

- ტრენინგი და მისი სპეციფიკა;
- პირველი დღე და მასთან დაკავშირებული სირთულეები;
- როგორ ავაგოთ პირველი დღის გეგმა, გეგმის პრეზენაცია;
- ნიშის მოძებნა;
- სამიზნე აუდიტორია და მისი კვლევა;
- როგორ შევქმნათ პროგრამა;
- ტრენინგ მოდულის და კურსის სტრუქტურის შემუშავება, დროში გაწერა;
- გუნდის მართვა და დინამიკა;
- რა თვისებებს უნდა ფლობდეს ტრენერი;
- ტრენინგი, მისი ტიპები, გამოყენებული აქტივობები და მეთოდები;
- ლიდერი და ლიდერობა.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: არ არსებობს
პედაგოგი: ლალი ჭელიძე (577 420528)
სწავლების ენა: ქართული
კურსის ხანგრძლივობა: 15 საათი (5 დღე, დღეში 3 საათი )
კურსის ღირებულება: 120 ლარი

ტრენინგის დასრულებისას გაიცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი
დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ: tsulll@tsu.ge

# ფუტსალის საქართველოს ნაკრებში თსუ-ს გუნდის კიდევ ერთი მოთამაშე მიიწვიეს

***პირველი გვერდიდან***

UEFA-ს გადაწყვეტილებით, ფუტსალის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 24, 25 და 27 იანვარს თბილისში, ახალ სპორტის სასახლეში გაიმართა. შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება საქართველოს ფუტსალის ნაკრებიც. ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად ისრაელის, შოტლანდიის და შვეიცარიის ნაკრებებმა იასპარეზეს.

ფუტსალში ქვეყნის ფარგლებში გამართული ჩემპიონატების სტატისტიკაში საუკეთესო შედეგები აქვს თსუ-ს გუნდს. შესაბამისად, საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ძირითადი შემადგენლობაც თსუ-ის გუნდის მოქმედი და ყოფილი წევრებისგან არის დაკომპლექტებული.

ეროვნული ნაკრების ახალწვეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდის წევრი ნიკა კურტანიძეა.

ნაკრების კაპიტანია დავით ბობოხიძე, რომელიც თსუ-ის სტუდენტური გუნდის მთავარი მწვრთნელია. დავით ბობოხიძისა და ნიკა კურტანიძის გარდა ნაკრების წევრები არიან თსუ-ის ყოფილი ფეხბურთელები: შოთა ჭანუყვაძე, ლევან კობაიძე, ბუთა კაკაბაძე, ზურაბ ლუკავა, შოთა თოფურია, ირაკლი თოდუა, კახა მაისაია, არჩილ სებისკვერაძე, ჯაბა ჯამბურია.

ნიკა კურტანიძე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. იგი ამბობს, რომ უნივერსიტეტში



ჩაბარებამდე თამაშობდა დიდ ფეხბურთს, ამჟამად თსუ-ში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე სწავლობს.

„უკვე სტუდენტობის პერიოდში, სწავლების მაღალი სტანდარტების გამო დროებით მომიწია სპორტისთვის თავი დამენებებინა,თუმცა დედაჩემის რჩევით და რეკომენდაციით, გამოვიჩინე ინიციატივა და მივედი სინჯებზე თსუ-ს ფუტსალის ნაკრებში.

თსუ ფუტსალის ნაკრები სტუდენტურ სპორტში მოწინავე ადგილს იკავებს. სინჯებზე წარმატებით გავიარე ადაპტაცია და გუნდის კვალიფიციური მწვრთნელის--ბესო არველაძის (რომელიც ფუტსალის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ასისტენტია) დახმარებით განვიცადე ის პროგრესი,რომელმაც მიმიყვანა საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებამდე. თსუ-ს გუნდში ვთამაშობ 3 წელია,ამ ხნის განმავლობაში გავხდით 3-ჯერ სტუდენტური თასის და ერთხელ სტუდენტური ჩემპიონატის მფლობელები“, – გვიყვება იგი.

ნიკა თვლის, რომ რომ არა თსუ, დიდი ალბათობით, ნაკრებში ვერ მოხვდებოდა. პირველად ნაკრებში გამოძახების შესახებ გაიგო ნაკრების მწვრთნელისგან ავთანდილ ასათიანისგან, რამაც ძალიან გაახარა იმიტომ, რომ თამაში ეროვნულ ნაკრებში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. ამბობს, რომ ქვეყნის დროშის ქვეშ თამაში დიდი პასუხისმგებლობაა და შეეცდება მოცემული შანსი გამოიყენოს და თავი დიდი ხნით დაიმკვიდროს ეროვნულ ნაკრებში.

თუმცა ნიკა ამბობს, რომ სწავლა მისთვის მაინც პრიორიტეტულია: „რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ჩემთვის, პირველ რიგში, პრიორიტეტია სწავლის დამთავრება და დიპლომის აღება, ხოლო რაც შეეხება ფუტსალს, ვეცდები ყოველდღიურად განვიცადო პროგრესი და დავეხმარო ჩემს ქვეყანას წარმატების მიღწევაში“, – ამბობს ნიკა.

# თსუ საკალათბურთო გუნდს სამი ლეგიონერი შეემატა ამერიკის სტუდენტური საკალათბურთო ლიგიდან

***პირველი გვერდიდან***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი „თსუ ჰიუნდაი“ სეზონს განახლებული შემადგენლობითა და ახალი მიზნებით იწყებს. კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ დახმარებით თსუ საკალათბურთო გუნდს სამი ლეგიონერი შეემატა ამერიკის სტუდენტური საკალათბურთო ლიგიდან.

თსუ-სა და გუნდის გენერალურ სპონსორს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე და კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ დირექტორმა დავით გიორგობიანი. შეთანხმება მხარეებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კალათბურთის განვითარებაში დახმარებას, სპორტულ მენეჯმენტში გამოცდილებისა და ცოდნის



გაზიარებას ითვალისწინებს. მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები ითანამშრომლებენ კლუბის განვითარებისათვის და მისი წარმატებულად გამოსვლისათვის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ გამართულ ეროვნულ ჩემპიონატებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი 1924 წლიდან არსებობს. სხვადასხვა დროს გუნდში თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ კეკელიძე, სულიკო თორთლაძე და სხვები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უნივერსიტეტის ვაჟთა საკალათბურთო გუნდი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 2014 წლამდე უწყვეტად ასპარეზობდა. თსუ საკალათბურთო გუნდი ეროვნული ჩემპიონატის სუპერლიგის ორგზის (2010 წ, 2011 წ.) მეორეადგილოსანი, ხოლო 2011 წელს ქორქია-საკანდელიძის მემორიალური თასის გამარჯვებულია. 2014 წლიდან დღემდე გუნდი ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ლიგაში ასპარეზობს და სეზონის ბოლოსთვის უმაღლეს ლიგაში გადასვლას გეგმავს. გუნდის 9 წევრი საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრებში თამაშობს.

# სტუდენტური პროექტები ახალი წესით დაფინანსდება

***პირველი გვერდიდან***

იმუშავებს იმ კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც გაიცემა დაფინანსება სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად, ახალი წესი თანაბარ პირობებს შექმნის ყველა სტუდენტისთვის. „ამით ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება პრობლემა, რომ შიდასაუნივერსიტეტო ფინანსები არაობიექტურად ნაწილდებოდა და დაინერგება საუნივერსიტეტო სახსრების ღიად, გამჭვირვალედ, ობიექტურად გადანაწილების მექანიზმი. სტუდენტური პროექტების დაფინანსება მოხდება საგრანტო კონკურსის საფუძველზე“, – განმარტა გიორგი შარვაშიძემ.

საბჭოს თსუ რექტორის მოადგლე მიხეილ ჩხენკელი უხელმძღვანელებს. შვიდკაციან საბჭოში თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტის პროფესორები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შედიან, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირინა გველესიანი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე თევზაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მოწვეული ლექტორი ლაშა ლაბაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ოლივერ რაისნერი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი რევაზ აფხაზავა,



კონსულტაციისა და და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელი ირინა ხანთაძე.

2017 წელს განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები - შემცირებულია ხარჯები - მივლინების (-26,9%), ოფისის (-11,15%), წარმომადგენლობითი (-30,05%), ასევე შრომის ანაზღაურების მიმართულებით. თუმცა, ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტების სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში მონაწილეობისთვის დაფინანსება. რექტორის განცხადებით, ბიუჯეტში ეს მუხლი გამოიყო ცალკე და 2017 წელს სტუდენტურ კვლევებზე 600 ათასი ლარია გათვალისწინებული.